შპს არქინვესტს“ა და სსიპ ქონების მართვის სააგენტოს შორის გაფორმდა ხელშეკრულება. ხელშეკრულების ერთერთი პუნქტის შესაბამისად, კომპანიის ვალდებულებას წარმოადგენდა №01.15.02.038.049 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, რომელიც კომპანიამ გადასცა თბილისის მუნიციპალიტეტს, მისთვის გადაცემული მიწის ნაკვეთის სანაცვლოდ, შესაბამისი ნებართვის გაცემიდან ერთი თვის ვადაში, განეხორციელებინა ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობის დემონტაჟი და ამ ტერიტორიის მოსწორებულ, გასუფთავებულ მდგომარეობაში მოყვანა. კომპანიამ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვალდებულება ვერ შეასრულა. ამ პერიოდში მინიციპალიტეტმა №01.15.02.038.049 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი, აუქციონის გზით გაასხვისა და დღეისათვის წარმოადგენს კერძო საკუთრებას. აქედან გამომდინარე საპრივატიზებო ვალდებულება აზრს კარგავს. შესათანხმებლად წარმოდგენილია საკითხი- ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის გაუქმების თაობაზე.

მომხრე-8
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, წინამძღვრიშვილის ქუჩა #39-ის მიმდებარედ არსებული 141 კვმ მიწის ნაკვეთიდან (საკ/კოდი: 01.16.05.020.025) 9 კვმ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ი.დ-სთვის“ (ს/ნ:416342844) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემა.

მომხსენებელი- თამარ ურუშაძე.

შპს „ი.დ.“-ის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარით გადაეცემა 9 კვმ მიწის ნაკვეთი ღია კაფეს მოსაწყობად. წლიური საიჯარო ქირაა 650 ლარი. იჯარის მოქმედების ვადად განისაზღვრა 2023 წლის 1 დეკემბრამდე პერიოდი.

მომხრე-8
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ათონელის ქუჩა #27-ის მიმდებარედ არსებული 742 კვმ მიწის ნაკვეთიდან (სა/კოდი:01.18.03.005.027) 30 კვმ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით „შპს მს ჯგუფისათვის“ (ს/ნ 405167947) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე.

მომხსენებელი- თამარ ურუშაძე.
შპს „მს ჯგუფს“ პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარით გადაეცემა 30 კვმ მიწის ნაკვეთი ღია კაფეს მოსაწყობად. წლიური საიჯარო ქირაა 3600 ლარი. იჯარის მოქმედების ვადად განისაზღვრა 2029 წლის 31 მაისამდე პერიოდი.

მომხრე-8
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ვარკეთილი 3-ის დასახლების III ა მ/რ-ის კორპ.#338-ის მიმდებარედ არსებული 518 კვმ მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: #01.19.39.012.055) 72 კვმ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით სს „მარტ ჯგუფისთვის“ (ს/კ 406119579) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე.

მომხსენებელი- თამარ ურუშაძე.
სს „მარტ ჯგუფის“ პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარით გადაეცემა 72 კვმ მიწის ნაკვეთი ღია კაფეს მოსაწყობად. წლიური საიჯარო ქირაა 5200 ლარი. იჯარის მოქმედების ვადად განისაზღვრა 5 წელი.

მომხრე-8
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: გარდაბანში, სოფ.ნორიოში მდებარე 6500 კვმ მიწის ნაკვეთის (ს/კ#81.09.08.272) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

მომხსენებელი- ქვარა ჩართოლანი.
მოქალაქე ლიზა აბრამიშვილის საკუთრებაში არსებული 10 000 კვმ მიწის ნაკვეთი 2010 წლიდან გამოიყენება ნაგავსაყრელად.ნაგავსაყრელის სანაცვლოდ ამ ტერიტორიაზე მოხვედრილ კერძო მესაკუთრებს თავის დროზე გადაეცათ სხვა ნაკვეთები(სულ 67 ოჯახს). ლიზა აბრამიშვილის მიწის ნაკვეთი დატვირთული იყო იპოთეკით, რის გამოც ვერ მოხერხდა მისთვის სანაცვლო მიწის ნაკვეთის გადაცემა. ამ პერიოდში მოქალაქემ მოხსნა იპოთეკა და მუნიციპალიტეტს აძლევს 6500 კვმ მიწის ნაკვეთს იმავე სოფელში . წარმოდგენილია შპს „თბილსერვის ჯგუფის“ წერილი, სადაც ადასტურებენ, რომ 10 000 კვმ მიწის ნაკვეთზე განთავსებულია ნაგავსაყრელი. ქვარა ჩართოლანმა აღნიშნა, რომ მიუხედავდ იმისა რომ სოფელი ნორიო გარდაბნის რაიონს ეკუთვნის ნაგავსაყრელი არის თბილისის მუნიციპალიტეტის და ამით ეს თემა დასრულდება.

მომხრე-8
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ხუდადოვის ქუჩაზე მდებარე 1000 კვმ მიწის ნაკვეთის (ს/კ 01.16.08.006.105) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

მომხსენებელი- ქვარა ჩართოლანი.

ოთხი შვილის დედას, ნათელა გზირიშვილს საუთრებაში გადაეცემა 1000 კვმ მიწის ნაკვეთი. ნათელა გზირიშვილი არის საქართველოს გმირების: მამა-შვილის ბადრი და ვახტანგ გზირიშვილების და და შვილი. მისი ექვსსულიანი ოჯახი ცხოვრობს ერთ ოთახში. მიწის ნაკვეთის განვითარება სამშენებლოდ შესაძლებლად მიაჩნია ურბანულ სამსახურს.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ არსებული 7842 კვმ მიწის ნაკვეთის (ს/კ 01.10.18.009.107) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხი.

მომხსენებელი- ქვარა ჩართოლანი.

შპს „სამშენებლო კომპანია აპექს დეველოპმენტის“ (ს/ნ: 404438649) წარმომადგენელმა მომართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, ქ. თბილისში, ტყვარჩელის ქ. №5-ში მდებარე, აღნიშნული კომპანიის 50%-იანი წილობრივ მფლობელობაში მყოფი შპს „აპექს ჯგუფის“ (ს/კ: 404477099) საკუთრებად რეგისტრირებული ბარაკული ტიპის უძრავი ქონების (ს/კ: №01.10.13.040.058; №01.10.13.040.099) ქ. თბილისში, ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ არსებულ 7842 კვ.მ. მიწის ნაკვეთში (ს/კ: №01.10.18.009.107) გაცვლასთან დაკავშირებით. კომპანია აცნობიერებს სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ მჭიდრო განაშენიანებას და მზადყოფნას გამოთქვამს განიხილოს უძრავი ქონების მონაცვლეობის საკითხი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს გადასცეს მიწის ნაკვეთები. კომპანია მზადაა, აანაზღაუროს მიწის ნაკვეთების ფასთა შორის სხვაობა, ხელშკრულების გაფორმებიდან 3 (სამი) თვის ვადაში, ხოლო თუ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიწის ნაკვეთის ღირებულებას აღემატება კომპანიის მიწის ნაკვეთების ღირებულება, უარს აცხადებს ფასთა შორის სხვაობის მიღებაზე.

უნდა აღინიშნოს რომ სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორია გადატვირთულია საცხოვრებელი კორპუსებით და ახალი მშენებლობა კიდევ უფრო გააუარესებს არსებულ სიტუაციას. შესაბამისად, მიზანშეწონილია წარმოდგენილი საკითხის განხილვა, რაც უზრუნველყოფს სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული, აღნიშნული უძრავი ქონების მიღებას მუნიციპალურ საკუთრებაში. ეს შესაძლებელს გახდის, მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ განხილულ იქნეს გადმოცემული ტერიტორიების სარეკრეაციო ან სხვა საზოგადოებრივი დანიშნულებით განვითარების საკითხი.

გასაცვლელი უძრავი ქონება შეფასდა საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ. №01.10.18.009.107 საკადასტრო ერთეულის საბაზრო ღირებულება, 2019 წლის 3 სექტემბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 2 093 814 (ორი მილიონ ოთხმოცდაცხრამეტი ათას რვაას თოთხმეტი) ლარის ოდენობით. კომპანიის მიერ წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნით, №01.10.13.040.058 და №01.10.13.040.099 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ნივთების საბაზრო ღირებულება, 2019 წლის 3 სექტემბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 1 910 103 (მილიონ ცხრას ათი ათას ას სამი) ლარის ოდენობით. უნდა აღინიშნოს, რომ კომპანიის უძრავ ნივთებზე მოქმედებს საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6). მაგრამ, დამკვეთის მოთხოვნით, ეს უძრავი ნივთები შეფასდა მიწათსარგებლობის ახალი გენერალურ გეგმამდე მოქმედი ძველი გენგეგმის ფარგლებში არსებული ფუნქციური ზონის: საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ის (სსზ-1) და ძველი განაშენიანების რეგულირების პარამეტრების (კ1-0.5, კ2-3.5; კ3-0.2) გათვალისწინებით. საპრივატიზებო საფასურად განისაზღვრა წარმოდგენილი საექსპერტო შეფასებებში ეროვნულ ვალუტაში მითითებულ თანხებს შორის სხვაობის არანაკლებ ოდენობა 185000 ლარი.

საკითხის განხილვა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში.
აზრი გამოთქვას: ვახტანგ შაქარიშვილმა, დავით უთმელიძემ, ოთარ გრიგოლიამ, ირაკლი ზარქუამ.

ვახტანგ შაქარიშვილმა იკითხა: არის თუ არა პირობად გათვალისწინებული, ტყვარჩელის ქუჩაზე მდებარე შენობების დემონტაჟი. რაზედაც ქვარა ჩართოლანმა განმარტა, რომ დემონტაჟი კომპანიას ვალდებულებად არ აქვს.

ვახტანგ შაქარიშვილმა გამოთქვა წინადადება, რომ აჯობებდა შედგეს შეხვედრა კომპანიასა და სსიპ ქონების მართვის სააგენტოს შორის, რაშიდაც ის თავად მიიღებს მონაწილეობას და კომპანიას ხელშეკრულებაში ვალდებულებად განესაზღვროს დემონტაჟის საკითხი, ვინაიდან ამის საშუალება გამგეობას არ აქვს. სვერის ან რაიმე სხვა სხვა საზოგადოებრივი დანიშნულებით განვითარების საკითხი სავარაუდოდ დროში გაიწელება და ეს ადგილი იქცევა ნაგავსაყრელად. ბიუჯეტში თანხა პრივატიზების გზით შემოვა, თუ გამგეობის ბიუჯეტიდან გავა თანხები დემონტაჟისათვის, ამას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. მან სთხოვა ქონების მართვის წარმომადგენელს, შეხვედრის უზრუნველყოფა, რაზედაც ქვარა ჩართოლანმა უპასუხა, რომ მათი მხრიდან ეს წინადადება გათვალისწინებული იქნება. სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ცოტნე დადიანის ქუჩა #2-ში(საკ/კოდი:#01.12.040.004.01.539) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზება.

მომხსენებელი- ქვარა ჩართოლანი

ტარიელ ბუჩუკურს სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაეცემა 11,82კვმ საცხოვრებელი ფართი. პიროვნება აღნიშნულ ფართს ფლობს და სარგებლობს 2000 წლიდან. წარმოდგენილია ნამალადევის გამგეობის და შსს შუამდგომლობები.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, მუხიანის სამხედრო დასახლებაში, "ავჭალა-1" სახლი #27-ში (საკ/კოდი:#01.11.17.004.007.01.004) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზება.

მომხსენებელი- თამარ ურუშაძე

მოქალაქე ასლი გარიბოვას პირდაპირი განკარგვის წესით სიმბოლურ ფასად გადაეცემა 67,18 კვმ საცხოვრებელი ფართი. მოქალაქე აღნიშნულ ფართს ფლობს და სარგებლობს 1992 წლიდან. წარმოდგენილია როგორც გლდანის რაიონის გამგეობის, ასევე შსს ოქმი, რომლითაც ადასტურებენ მოქალაქის ამ ფართში ცხოვრების ფაქტს.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ენგურჰესის ქუჩა #3-ში (საკ/კოდები:#01.19.23.013.010.01.503; #01.19.23.013.010.01.502) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით პრივატიზება.

მომხსენებელი- თამარ ურუშაძე

ორ ოჯახს, რომლებიც 2010 წლიდან ცხოვრობენ და სარგებლობენ საცხოვრებელი ფართებით, ზემოაღნიშნულ მისამართზე, სიმბოლურ ფასად გადაეცემათ საერთო ჯამში 138,94 კვმ საცხოვრებელი ფართი.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, წყნეთის გზატკეცილი, კორპუს #4-ში(საკ/კოდი: #01.14.06.007.037.01.1500.611) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით პრივატიზება.

მომხსენებელი- თამარ ურუშაძე

მოქალაქე ანა ბენიაშვილს, სომბოლურ ფასად გადაეცემა წყნეთის გზატკეცილი #4-ში მდებარე 20,79 კვმ საცხოვრებელი ფართი. მოქალაქე აღნიშნულ მისამართზე ცხოვრობს 2000 წლიდან ორ შვილთან ერთად. წარმოდგენილია ვაკის რაიონის გამგეობის წერილობითი შუამდგომლობა.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილი #36-ში, ნაკვეთი 64/029) (საკ/კოდები: #01.17.09.064.029.01.040; #01.17.09.064.029.01.048)) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით პრივატიზება.

მომხსენებელი- თამარ ურუშაძე

ისნის რაიონის გამგეობის შუამდგომლობით. ორ ოჯახს გადაეცემა საერთო ჯამში 58,30 კვმ საცხოვრებელი ფართი. ეს ოჯახები აღნიშნულ ფართში ცხოვრობენ 1998-2000 წლიდან.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილი #89-ში, (საკ/კოდი: #01.19.24.008.002.01.524) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით პრივატიზება.

მომხსენებელი- თამარ ურუშაძე

მოქალაქეებს ვალენტინა ონანაშვილს და ვალერი სვიდანოვას თანასაკუთრებაში გადაეცემათ, კახეთის გზატკეცილი №89-ში მეორე სართულზე მდებარე 39,69 კვმ საცხოვრებელი ფართი. მოქალაქეები ამ ფართში ცხოვრობენ 1991 წლიდან.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, გელა ჭედისა ქუჩა #1 ვ-ში (საკ/კოდი: #01.11.04.023.021.01.011) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით პრივატიზება.

მომხსენებელი- თამარ ურუშაძე

მოქალაქე ნათელა ქორაშვილს, რომელიც სოციალურად დაუცველია და 1995 ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე, სიმბოლურ ფასად გადაეცემა პირველ სართულზე 30,98 კვმ საცხოვრებელი ფართი.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ომარ ხიზანიშვილის ქუჩა #67-ში (საკ/კოდი: #01.11.10.006.001.01.003) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით პრივატიზება.

მომხსენებელი- თამარ ურუშაძე

აკაკი ქუთათელაძეს, გლდანის რაიონის შუამდგომლობით გადაეცემა 56,15 კვმ საცხოვრებელი ფართი ომარ ხიზანიშვილის ქუჩა #67-ში პირველ სართულზე. მოქალაქე ცხოვრობს 2008 წლიდან.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, წყნეთში, რუსთაველის ქუჩა #45-ში (საკ/კოდები: #01.20.01.139.109.01.001; 01.20.01.139.109.01.002; 01.20.01.139.109.01.003; 01.20.01.139.109.01.004) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით პრივატიზება.

მომხსენებელი- თამარ ურუშაძე

ვაკის რაიონის გამგეობის შუამდგომლობით, მოქალაქე ეთერ ელბაქიძეს სიმბოლურ ფასად გადაეცემა ზემოაღნიშნულ მისამართზე, საერთო ჯამში 307,76 კვმ საცხოვრებელი ფართი. მოქალაქე 8 სულთან ერთად 1992 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე ორსართულიან კარკასულ მდგომარეობაში მყოფ კოტეჯში. ოჯახი არის სოციალურად დაუცველი და სხვა საცხოვრებელი ფართი არც მას და არც მისი ოჯახის წევრებს არ გააჩნიათ.

მომხრე-7. ირაკლი ზარქუამ თავი შეიკავა

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, თენგიზ სტურუას ქუჩა #29-ში (საკ/კოდები: #01.19.27.002.030) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით პრივატიზება.

მომხსენებელი- თამარ ურუშაძე

სამგორის რაიონის შუამდგომლობით, თენგიზ სტურუას ქუჩა №29-ში, 8 ოჯახს სიმბოლურ ფასად გადაეცემა საერთო ჯამში 461,17 კვმ საცხოვრებელი ფართი. მოქალაქეები ამ ფართებს ფლობენ 1995-2000 წლებიდან.

მომხრე-8.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ცოტნე დადიანის ქუჩა #2-ში (საკ/კოდები: #01.12.12.040.004) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით პრივატიზება.

მომხსენებელი- თამარ ურუშაძე

ცოტნე დადიანის ქუჩა №2-ში 14 ოჯახს სიმბოლურ ფასად გადაეცემა საერთო ჯამში 520,86 კვმ საცხოვრებელი ფართი. ეს ოჯახები აღნიშნულ ფართებში ცხოვრობენ 1999-2001 წლებიდან.

მომხრე-8.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, გრიგოლ ლორთქიფანიძის ქუჩა #22-ში (საკ/კოდები: #01.19.21.002.061.01.504) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით პრივატიზება.

მომხსენებელი- თამარ ურუშაძე

მოქალაქე ალექსანდრე დოლიკაშვილს, რომელიც 1993 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე, სიმბოლურ ფასად გადაეცემა 46.10 კვმ საცხოვრებელი ფართი. კორპუსი იყო სს „საქტრანსმშენის“ ბალანსზე, რომელიც 1993 წლიდან გადაეცა სახელმწიფოს. ფართები კორპუსის ყველა მაცხოვრებელმა დაიკანონა, დარჩენილი იყო მხოლოდ ალექსანდრე დოლიკაშვილი, რომელმაც გარკვეული მიზეზების გამო ვერ მოახერხა თავის დროზე ბინის ორდერის აღება.

მომხრე-8.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ქიზიყის ქუჩა #23-ის მიმდებარედ (საკ/კოდები: #01.19.24.004.056) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით პრივატიზება.

მომხსენებელი- თამარ ურუშაძე

3 მოქალაქეს, რომლებიც 2008 წლიდან ცხოვრობენ ზემოაღნიშნულ მისამართზე, სიმბოლურ ფასად გადაეცემა საერთო ჯამში 182,69 კვმ საცხოვრებელი ფართი.

მომხრე-8.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, რიყის ტერიტორიაზე არსებული 88 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.01.065.072) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ჩექინ გრუპისთვის“ (ს/ნ: 402113253) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე“.

მომხსენებელი- ქვარა ჩართოლანი

შპს „ჩექინ გრუპს“ (ს/ნ: 402113253) გადაეცემა ქალაქ თბილისში, რიყის ტერიტორიაზე არსებული 88 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: №01.17.01.065.072) სარგებლობის უფლებით, ღია კაფის მოწყობის მიზნით. წლიური საიჯარო ქირაა 12700 ლარი.იჯარის მოქმედების ვადად განისაზღვრა 2029 წლის 22 თებერვლამდე პერიოდი.

საკითხთან დაკავშირებით ირაკლი ნადირაძე დაინტერესდა, ფლობდა თუ არა კომპანია მოთხოვნილის მიწის ნაკვეთის მიმდებარედ უძრავ ქონებას. რაზედაც ქვარა ჩართოლანმა განმარტა, რომ კომპანიას ნაკვეთის მიმდებარედ აღებული აქვს უძრავი ქონება იჯარით და მოთხოვნილ მიწის ნაკვეთზეც იმავე პერიოდით უფორმდება იჯარა. დამოუკიდებლად ამ მიწის ნაკვეთის განვითარება შეუძლებელია.

მომხრე-8.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი №34-38-ის მიმდებარედ არსებული 1933 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.10.15.018.078) 73 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით იან დავიდოვისთვის (პ/ნ: 01018002120) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე.

მომხსენებელი- თამარ ურუშაძე

იან დავიდოვს (პ/ნ: 01018002120) გადაეცემა ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი №34-38-ის მიმდებარედ არსებული 1933 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.10.15.018.078) 73 კვ.მ მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით, ღია კაფის მოწყობის მიზნით. განცხადებით წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, იან დავიდოვს (პ/ნ: 01018002120) საკუთრებაშია ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი №36-ში მდებარე უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: №01.10.15.018.003.01.505).

თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა შესაძლებლად მიიჩნევს მიწის ნაკვეთის იჯარის ფორმით დაინტერესებული იურიდიული პირისთვის გადაცემას, 5 წლის ვადით. საიჯარო ქირის წლიური საფასურით - 10 550 ლარის ოდენობით.

მომხრე-8.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, მასივი III, კვარტალი VIII, კორპუსი 12-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.025.007.01.038) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზება.“

მომხსენებელი- თამარ ურუშაძე

მოქალაქე ნაზიკ მურადიანს, რომელიც აღნიშნულ მისამართზე მეუღლესთან და შვილთან ერთად ცხოვრობს 1992 წლიდან, სიმბოლურ ფასად გადაეცემა 32,42 კვმ საცხოვრებელი ფართი.

მომხრე-8.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, ქუჩა ლოლობერიძე, N47, ნაკვ. 34/020 (საკადასტრო კოდი: N01.18.13.034.020.01.016) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზება“

მომხსენებელი- თამარ ურუშაძე

მოქალაქე ევა გვიჩიანს სიმბოლურ ფასად გადაეცემა 31,11 კვმ საცხოვრებელი ფართი ზემოაღნიშნულ მისამართზე. მოქალაქე აქ ცხოვრობს 18 წელი. საჯარო რეესტრის ამონაწერით უფიქსირდება თანასაკუთრებაში ფართი მესტიის რაიონში.

მომხრე-8.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქ.თბილისში, საინგილოს ქუჩა #55-ში (საკ/კოდი: #01.17.02.059.027) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზება.

მომხსენებელი- თამარ ურუშაძე

ოთხ ოჯახს, რომლებიც დღემდე მოქმედი სამხედრო მოსამსახურეები არიან და ზემოაღნიშნულ მისამართზე ცხოვრობენ 2003 წლიდან, სიმბოლურ ფასად გადაეცემათ საერთო ჯამში 254,03 კვმ საცხოვრებელი ფართი.

მომხრე-8.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, ახუნდოვის ქუჩა №3/10-ის მიმდებარედ არსებული 6 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.18.04.017.032) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ვაინლაბისთვის“ (ს/ნ: 405213709) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე“

შპს „ვაინლაბს“ გადაეცემა 6 კვმ მიწის ნაკვეთი ღია საზაფხულო კაფეს მოსაწყობად. წლიური საიჯარო ქირაა 1450 ლარი. იჯარის მოქმედების ვადა 5 წელი.

მომხრე-8.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქ. თბილისში დიდი დილომი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრის მიმდებარედ არსებულ, 10 177 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ 01.72.14.009.259) ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ.

მომხსენებელი- ქვარა ჩართოლანი.

სსიპ ქონების მართვის სააგენტოს მომართეს ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებმა/მათმა უფლებამონაცვლეებმა და მოითხოვეს თბილისში დიდი დილომი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრის მიმდებარედ არსებულ, 10 177 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ 01.72.14.009.259) მათთვის საკუთრებაში გადაცემა, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახლემწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე უარის თქმის სანაცვლოდ. სულ წარმოდგენილია 65 ოჯახი, საცხოვრებელი ფართი თეთრი კარკასი-4400 კვმ.

მომხრე-8.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქ. თბილისში, ბეთლემის ქ. №15-ში მდებარე ფართების (ს/კ: №01.18.03.072.064.01.500; №01.18.03.072.064.01.504, №01.18.03.072.064.01.505) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

მომხსენებელი- ქვარა ჩართოლანი.

ვენერა ალიშევას წარმომადგენელმა 2019 წლის 7 ოქტომბრის განცხადებით მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვა ქ. თბილისში, თამარაშვილის ქუჩაზე მისი მარწმუნებლის საკუთრებაში დარჩენილი 1275 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: #01.10.16.004.254) გაცვლა თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაში: ქ. თბილისში, ბეთლემის ქ. #15-ში არსებულ ფართებში (ს/კ: #01.18.03.072.064.01.500; #01.18.03.072.064.01.504; #01.18.03.072.064.01.505) და საბაზრო ღირებულებებს შორის სხვაობის ვენერა ალიშევასთვის თანხით ანაზღაურება.

უნდა აღინიშნოს, რომ ქ. თბილისის მთავრობის 31.12.18წ. #18.1177.1645 და 13.06.19წ. #19.662.866 განკარგულებების და ქ. თბილისის საკრებულოს 25.01.19წ. #11 და 25.06.19წ. #180 განკარგულებების საფუძველზე, თამარაშვილის ქუჩაზე მდებარე, ვენერა ალიშევას საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები (ს/კ: #01.10.16.004.241; #01.10.16.004.249), სხვა უძრავ ქონებაში გაცვლის შედეგად საკუთრებაში მიიღო ქ. თბილისის მუნიციპალიტეტმა. თბილისის მთავრობა ასევე მიზანშეწონილად მიიჩნევს დარჩენილი ნაკვეთის მიღებას მუნიციპალურ საკუთრებაში, რაც ასევე შესაძლებლობას მისცემს თვითმმართველობის ორგანოებს, გადმოცემული ნაკვეთების ტერიტორიებზე შეხედულებისამებრ მიიღონ შემდგომი გადაწყვეტილებები.

მიწის ნაკვეთები შეფასებულია სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ. 19.06.19წ. #004240419 ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, ქ. თბილისში, ბეთლემის ქ. #15-ში მდებარე ფართების (ს/კ: #01.18.03.072.064.01.500; #01.18.03.072.064.01.504, #01.18.03.072.064.01.505) მთლიანი საბაზრო ღირებულება საორიენტაციოდ განისაზღვრა 438853 აშშ დოლარის ექვივალენტურ თანხად ეროვნულ ვალუტაში, 2019 წლის 19 ივნისის მდგომარეობით - 1 214 043 ლარი (ხოლო, ამ განკარგულების გამოცემის დღისთვის ოფიციალური გაცვლითი კურსით შეადგენს - 1 300 453.09 ლარს).

#01.10.16.004.254 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 1275 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულებასთან დაკავშირებით, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილია სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2019 წლის 4 ოქტომბრის #5006388919 წერილი. წერილში აღნიშნული უწყება განმარტავს, რომ მიწის ნაკვეთი წარმოადგენს #01.10.16.004.218 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთიდან გამიჯნულ ნაწილს. #01.10.16.004.218 საკადასტრო ერთეული შეფასდა 13.12.18წ. #008521518 დასკვნით. ვინაიდან აღნიშნული ნაკვეთი (ს/კ: #01.10.16.004.218) ჩასანაცვლებლად იყო განკუთვნილი, მისგან გამოყოფილი და გამიჯნული ნაწილების თავიდან შეფასება აღარ მოხდა და #01.10.16.004.254 საკადასტრო ერთეულის შეფასებისას აღებულ იქნა 13.12.18წ. #008521518 დასკვნით დადგენილი 1 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება - 382 აშშ დოლარის ოდენობით. გამომდინარე აქედან, 1275 კვ.მ მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება განისაზღვრა შესაბამისად და მისი ოდენობა ეროვნულ ვალუტაში დადგინდა 2019 წლის 4 ოქტომბრის მდგომარეობით - 1 446 448 ლარი . ასევე უნდა აღინიშნოს, რომ 13.12.18წ. #008521518 დასკვნით, დამკვეთის მოთხოვნით, #01.10.16.004.218 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის შეფასებისას არ იქნა გათვალისწინებული მიწის ნაკვეთზე ფაქტიურად გამავალი საავტომობილო გზა და დაშვებულ იქნა, რომ მთელ ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6). უნდა აღინიშნოს, რომ ახალი გენგეგმით #01.10.16.004.254 საკადასტრო ერთეულს შეეცვალა ფუნქციური ზონა და დღეისათვის მასზე მოქმედებს სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2). განკარგულების პროექტით განიხილება უძრავი ქონების გაცვლა და დამატებითი კომპენსაციის ვენერა ალიშევასთვის გადახდა და მისი ოდენობის განსაზღვრა წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნების მიხედვით ამ განკარგულების გამოცემის დღისთვის ოფიციალური გაცვლითი კურსით ეროვნულ ვალუტაში გაანგარიშებულ საბაზრო ღირებულებებს შორის სხვაობის ოდენობით - 142 822.18 ლარი.

მომხრე-8.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოიხსინეს: ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. ფართობის ტერიტორიიდან (ს/კ: №01.16.05.032.024) 16 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით თეონა გაზდელიანისთვის (პ/ნ: 35031007233) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე (№12-031928992-03 16.10.2019)

მომხსენებელი- ქვარა ჩართოლანი.

დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. ფართობის ტერიტორიიდან (ს/კ: №01.16.05.032.024) 16 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, იჯარით, სარგებლობის უფლებით გადაეცემა თეონა გაზდელიანს ღია კაფეს მოსაწყობად, 2 წლის ვადით. საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, აღნიშნული პირი საკუთრების უფლებით ფლობს ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზ. №51-ში არსებული 29.14 კვ.მ. ფართს (ს/კ: 01.16.05.014.006.01.518). იჯარით გადაეცემა ხდება 5 წლის ვადით, წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 3000 (სამი ათასი) ლარის ოდენობით.

მომხრე-8.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოიხსინეს: ქალაქ თბილისში, აბანოს შესახვევი №7-ის მიმდებარედ არსებული 8 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.18.03.063.060) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „დან დიურ ჰოლდინგისთვის“ (ს/ნ: 203855104) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე (№12-031928992-03 16.10.2019)

მომხსენებელი- ქვარა ჩართოლანი.

შპს „დან დიურ ჰოლდინგს“ (ს/ნ: 203855104) იჯარით გადაეცემა თბილისში, აბანოს შესახვევი №7-ის მიმდებარედ არსებული 8 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (ს/კ: №01.18.03.063.060) ღია კაფეს მოსაწყობად, ხუთი წლის ვადით. აღნიშნული კომპანიის საკუთრებაშია ქალაქ თბილისში, აბანოს შესახვევი №7-ში (ს/კ: №01.18.03.063.001) მდებარე ფართები.

იჯარის მოქმედების ვადაა 5 წელი, წლიური საიჯარო ქირა 2000 ლარი.

მომხრე-8.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე

ოთარ გრიგოლია